ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომის ოქმი №26

14 მაისი, 2019 წელი
14:00 საათი
(ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა
კომისიის ოთახი N329)

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი ბირბიჩაძე
2. გიორგი დოხტურიშვილი;
3. ნინო ლაცაბიძე;
4. თამარ ტალიაშვილი;
5. ვლადიმერ ძნელაძე;
6. დათო ჟღენტი.

მოწვეული სტუმრები: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (წერილი №12-031912288-03;01-1191222642; 02.05.2019).

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.

გიორგი ბირბიჩაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი. კომისიის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში, კერძოდ, იცვლება ამ დადგენილების პირველი

მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართის „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესის” მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. მოქმედი წესის მიხედვით კუმულაციურად საჭირო იყო რამდენიმე პირობა იმისათვის, რომ განხორციელებულიყო დაფინანსება, წარმოდგენილი პროექტით კი ერთ-ერთი პირობის არსებობა საკმარისია დაფინანსებისათვის („და“ კავშირი იცვლება „ან/და“ კავშირით), ამასთან ემატება ჩვენება - სიმსივნური კვანძის 2სმ-ზე მეტის ქონა.

წარმოდგენილი ცვლილების შესაბამისად მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

,,ა) HER-2 დადებითი ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ძუძს კიბოს დიაგნოზის ან რადიკალური ოპერაციის შემდგომ განვითარებული რეციდივების შემთხვევაში-ტრასტუზუმაბი; სიმსივნური კვანძის >2სმ-ზე ან/და ჰორმონუარყოფითი (ER/PR-negative) ან/და დადებითი ნოდალური სტატუსის (N+) შემთხვევაში პრესტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი (პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი უფინანასდებათ 2019 წლის 1 იანვრიდან ჩართულ მოსარგებლეებს);“

აღნიშნული ცვლილების განხორციელება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან.

კომისიის თავმჯდომარემ წევრებმა დადებითად შეაფასეს წარმოდგენილი ცვლილება. კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

<u>კომისიამ დაადგინა</u>

პროექტი განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — გიორგი ბირბიჩაძე